7 ოქტომბერი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეა

მუხლი 41.
სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთათვის არა უმეტეს 41-საათიანი სამუშაო კვირის დაწესება და მთელი რიგი პროფესიებისა და წარმოებებისათვის დადგენილი შემცირებული სამუშაო დღე, ღამით მუშაობის შემცირებული საგრძლივობა; ყოველწლიური ფასიანი შვებულებების მიცემა, ყოველკვირეული დასვენების დღეების, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება; საცხოვრებელ ადგილზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 194 (2855)
7 ოქტომბერი, სამშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ამ უფლებას უზრუნველყოფს...

საბჭოთა კონსტიტუცია ეს ჩვენა ვართ, ჩვენი უფლებებით, მოვალეობით, სადღეისო და სახვალიო ამოცანებით, ნათელი მომავლის გარანტიით. საბჭოთა კონსტიტუცია ხალხის კონსტიტუციაა, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს მის მისწრაფებებსა და ინტერესებს. ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე გარდაქმნებისა და ახალი წარმატებების ატმოსფეროში ეგებება კონსტიტუციის დღეს ჩვენი ხალხი. შრომა და დასვენება საბჭოთა ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა. ასე მასშტაბურად არასოდეს წამოწეულა დღის წესრიგში თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების საკითხი, როგორც ეს ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე. ამის საფუძველი შექმნა სოციალურ-ეკონომიკურმა მიღწევებმა, ადამიანის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის შეუნელებელმა ზრუნვამ.

ჩვენმა რესპუბლიკამ, ისევე, როგორც მოძმე რესპუბლიკებმა, ფრანგანტური ნაბიჯები გადადგეს ფიზკულტურისა და სპორტის მატერიალურ-სპორტული ბაზის განსამტკიცებლად. სამაგალითოდ თუნდაც მარტო ბოლო წლებში მიღწეული წარმატებები კმარა. დაინერგა აგრეთვე მთელი რიგი სიახლეები — გაიხსნა კულტურულ-სპორტული კომპლექსების ქსელი, შეიქმნა და იქმნება მოყვარულთა სპორტული კლუბები, ყველამ კარგად ვიცით, როგორ ფართოვდება ფასიანი მომსახურება.

საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას მასობრიობიდან საყოველთაო-სახალხო მოძრაობაზე გადასვლის კურსი აქვს აღებული და ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი ეზიაროს ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს. მაგრამ, როგორც ეს სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა — „ბევრი რამ არის დამოკიდებული საზოგადოებრივ ინიციატივაზე, მოსახლეობის თვითმოქმედებაზე“. ინიციატივა და თვითმოქმედებაც ხომ კონსტიტუციური უფლებაა, უფლება ჩვენსავე საკეთილდღეოდ, მთელი ქვეყნის სასიკეთოდ, რადგან ქვეყნის ყველაზე დიდი საგანძური ხალხის ჯანმრთელობაა. ჯანმრთელობას კი, ისევ ყრილობის მასალებს მოვიშველიებთ, „აფთიაქში ვერ იყიდი. მთავარია ადამიანის ცხოვრების წესი, ის, კერძოდ, თუ რამდენად გონივრულად და ხარგებლიანად იყენებს იგი თავისუფალ დროს“.

ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ბოლო ხანებში ჩვენს რესპუბლიკაში საგრძნობლად გამოცოცხლდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, მიღწეულის ბალავრზე დაყრდნობით, დაფარული რეზერვების ამოქმედების გზით უკვე ესოდენ თვალსაჩინოა წინ გადადგმული ნაბიჯები. თუმცა, რა დასამალია, ჯერ გასაკეთებელიც ბევრი გვაქვს. აქ კი მეტი ინიციატივა, მეტი თავდადება, უფრო მკაფიოდ გამოკვეთილი მიზანმიმართული მუშაობა, გვმართებს. ჩვენ შეგვიძლია და უნდა შევძლოთ კიდეც საქმიანობის სრული გარდაქმნით ავიდეთ ახალ სიმაღლეზე. ფიზკულტურის მასობრიობის გარეშე არ არსებობს მასობრივი სპორტი, მასობრივი სპორტი კი, როგორც დიდი სპორტის სათავე აუცილებლად წარმოაჩენს ლიდერებს, ახალ ჩემპიონებს და რეკორდსმენებს, იმათ, ვინც კიდევ უფრო გააღრმავებს და და განამტკიცებს ქართული სპორტის ტრადიციებს.

ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ! აი, რა არის საბჭოთა კონსტიტუციის დედააზრი.

დღესასწაულს გილოცავთ, მეგობრებო!

ДЕЛО, 7 ОКТОМБЕРЯ, СССР КАВШИРИС КОНСТИТУЦИИ ДЕЛИСАДМИ МИИЗВИНИЛИ МАСОБРИВ-ГАМАЗАНСАЛЕБЕЛИ ДА СПОРТУЛИ ЛОНИСИЗИЕБЕБИ ГАИМАРТЕБА РЕСПУБЛИКИС ДАЛАКЕБШИ ДА РАИОНЕБШИ, СОФЛЕБШИ. ДЕВИЗИА — „ТВИТТИНИЦИАТИВА, АКТИУРИ ДАСВЕНЕБА, ГАНМРТЕЛОБА!“.

ЕС ЛОНИСИЗИЕБА ПИРВЕЛАД ТАРДЕБА ФИЗКУЛТУРИСА ДА СПОРТИС МУШАКЕБИС, АКТИВИСТЕБИС, ТВИТ МОСАХЛЕОБИС ФАРТО ФЕНЕБИС УШУАЛО ИНИЦИАТИВИС ГАМОВЛЕНИТ.

ЧАТАРЕБУЛИ ЛОНИСИЗИЕБЕБИС ШЕСАХЕБ ДАГВИРЕКЕТ ХВАЛ 10-ДАН 13 СААТАМДЕ: 99-56-14, 93-97-50, 93-97-54, 99-97-55. (ШЕГАХСЕНЕБТ, РОМ ТЕКСТИ АМ ЛОНИСИЗИЕБИС ЧАТАРЕБИС ШЕСАХЕБ ГАМОЕКВЕУНДА „ЛЕЛОС“ 4 ОКТОМБРИС НОМЕРШИ).

ხართ თუ არა მზად მძლეოსნობაში „ლელოს“ რეგიონალურ-რესპუბლიკურ დათვალიერება-შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად?

შეგახსენებთ, კლასებში და კლასებს შორის შეჯიბრებები ტარდება 12, 19 და 26 ოქტომბერს. საპრიზო ადგილებზე გასულთათვის რაიონული და საქალაქო ღონისძიების თარიღს ცალკე გამოვაქვეყნებთ.

გვაცნობეთ, როგორ ემზადებით, მოგვწერეთ ან დაგვირეკეთ: 99-56-14, 93-97-54.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი აფროსნობაში

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ნოდარ გუგუშვილი სევასტოპოლიდან ტელეფონით გვატყობინებს:

ბიგანიშვილი და კოლოსოვი — ლიდერთა ჯგუფში

ერთი რბოლის მოგება აფროსნობაში არაფერს ნიშნავს, თუ მომდევნო დღეებში პრიზიორთა შორის მაინც არ მოხვდი. მაგალითად, ბელორუსიელმა სერგეი ხორეეკამ პირველ რბოლაში ყველას აჯობა, მეორე დღეს კი ფინიშთან მხოლოდ მეხუთე იყო და... ერთბაშად 10 საჯარიმო ქულა. ხორეეკამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადგილი გაუცვალა შარშანდელ ჩემპიონს „ვარსკვლავის“ კლასში ლენინგრადელ ვიქტორ სოლოვიოვს. პირველ დღეს ამ უკანასკნელს 10 საჯარიმო ქულა ჰქონდა (V ადგილი), მეორე რბოლაში კი ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა.

გურამ ბიგანიშვილმა პირველი დღის შედეგი (II ადგილი) გაიმეორა და 3 საჯარიმო ქულას ამდენივე დაუმატა. აი, სწორედ ეს არის სტაბილურობა, რომელსაც საბოლოო ჯამში წარმატება მოაქვს. ორი რბოლის შემდეგ გურამ ბიგანიშვილს 6 საჯარიმო ქულა დაუგროვდა და დაწინაურდა. სოლოვიოვი და ხორეეკი 10-10 ქულით II-III ადგილებს იყოფდნენ. უკრაინელმა ევგენი ავქსენტიევმა მეორე დღესაც III საპრიზო ადგილი დიკავა და 11,4 საჯარიმო ქულით IV ადგილზე გადაინაცვლა.

მესამე რბოლას, როგორც აფროსნები ამბობენ, იდეალური ამინდი დაუდგა — მზიანი, უღრუბლო ცა და საკმაოდ ძლიერი ტალღები. სტარტიდანვე დაწინაურდა გურამ ბიგანიშვილის ეკიპაჟი (მებაგირე ალექსანდრე ზიბინი), რომელმაც ყველაზე სწრაფად გაიარა პირველი ნიშანი (ქარის წინააღმდეგ). მას დაახლოებით 35 წამის სხვაობით მიყვებოდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის მოსკოველი ვიქტორ პოტაპოვის ნავი (მებაგირე ა. მუზიჩენკო). სხვა კონკურენტები ლიდერებს კიდევ უფრო მეტად იყვნენ ჩამორჩენილი. ბიგანიშვილი და ზიბინი მეორე ნიშანთანაც პირველნი მიიჯრნენ. მერე კარგა ხნით დაკარგეთ ისინი მხედველობიდან. ბოლო საფინიშო სწორზე (აქ, ისევე როგორც სტარტზე, სპორტსმენები ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მიცურავენ) პირველი ისევ ბიგანიშვილის ეკიპაჟი გამოჩნდა. გამარჯვება თითქოს განაღდებული იყო, მაგრამ მოხდა გაუგებარი რამ: ლიდერის ნავმა სვლას უკლო და სოლოვიოვსა და პოტაპოვს დაწინაურების საშუალება მისცა. ფინიშის ნიშანი მეტოქეებმა სწორედ ამ თანამიმდევრობით გადაკვეთეს: სოლოვიოვი, პოტაპოვი, ბიგანიშვილი.

სამი რბოლის ჯამში „ვარსკვლავის“ კლასში ლიდერი სოლოვიოვი გახდა — 10 საჯარიმო ქულა. მას სულ მცირედით ჩამორჩება ბიგანიშვილი — 11,7. III ადგილზეა ხორეეკი — 18 ქულა.

საკავშირო ჩემპიონატზე, „ლუჩის“ კლასში, ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ახალგაზრდა **ფოთელი აფროსანი ვიქტორ კოლოსოვი** ასპარეზობს. პირველ რბოლაში მან XV ადგილი დაიკავა, მეორე ცდაზე — IV, მესამეზე კი — VI ადგილი. ამრიგად, სამი დღის შეჯიბრების შემდეგ იგი II-IV ადგილებს იყოფს. ეს საკმაოდ კარგი შედეგია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ლუჩის“ კლასში ყველაზე მეტი მონაწილე გამოდის (30 ნავი).

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

სოკოლოვი ელის ახალ მეტოქეს

ანდრეი სოკოლოვმა ბევრი გააოცა. მართლაცდა, ვინ იფიქრებდა, რომ ახალგაზრდა მოსკოველი დიდოსტატი დაძლევდა ფსიქოლოგიურ ბარიერს, რაც თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში თან სდევდა მას. როგორც იცით, არტურ იუსუპოვი სტარტზე ორი ქულით დაწინაურდა. სოკოლოვი დიდხანს ცდილობდა მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ შეეტრიალებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. პირველად მან მეშვიდე პარტიაში შეამცირა

სხვაობა, მაგრამ იუსუპოვმა სწრაფადვე აღადგინა ძველი თანაფარდობა. მეთერთმეტე პარტიის შემდეგ კი სოკოლოვს ვეღარ იცნობდით. ბოლო ოთხ პარტიაში მან 3,5 ქულა მოაგროვა (მოიგო მე-11, მე-12, მე-13 პარტიები, ყაიმით დაამთავრა ბოლო, მე-14 პარტია) და გაიმარჯვა. 7,5:6,5 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა ეს მეტად საინტერესო, დაძაბული ორთაბრძოლა.

მაგრამ ანდრეი სოკოლოვს ბრძოლა არ დაუმთავრებია. იგი ახალ მეტოქეს ელის. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის კიდევ ერთი, ახალი მაძიებელი ხომ კასპაროვ — კარპოვის მატჩში დამარცხებულისა და სოკოლოვის შეხვედრაში გამოვლინდება.

სპორტული ბაზაც ლაბორატორიაა

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს მშენებლობას — შენდება სპორტული მოედნები, დარბაზები პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად და სხვა. რა დასამალია და, ზოგიერთი ობიექტის მშენებლობა დანიშნულ დროს არ მთავრდება, უმიზეზოდ ჭიანურდება. სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ყოველივე ეს ამ კონკრეტული ინსტიტუტის პრობლემაა და მხოლოდ ამ ინსტიტუტის მესვეურთა საზრუნავი. ფიზიკურის ინსტიტუტი ყოველთვის იყო და არის ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ცვლის აღზრდის ძირითადი კერა. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ მისი მოქმედების რადიუსი თანდათან გაიზარდოს.

გესაუბრებათ ინსტიტუტის პროორექტორი ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში თამაზ სინჯიკაშვილი.

დავიწყებ იმით, რომ ფიზიკურის ინსტიტუტის შენობის 60 პროცენტი ხელახლა გადაიხურა. მთლიანად შეიცვალა გათბობის სისტემა, რომელიც წლების მანძილზე არ მუშაობდა. ის სამუშაოები, რომელთაც „სპორტრემმშენის“ ტრესტის მე-5 სამმართველო (ტრესტის მმართველი გივი კორკოტაძე) აწარმოებდა, დროულად და ხარისხიანად შესრულდა. მშენებლისადმი მადლობის მეტი რა გვეთქმის. გარემონტდა აუდიტორიები, მოპირკეთდა ინსტიტუტის დერეფნები. გადახალისებული გარემო ერთნაირად გაახარებს მასპინძლისა და სტუმრის თვალს. მწყობრში ჩადგა ახალი კორპუსი. კაპიტალურად შეკეთდა სპორტული დარბაზები. ექსპლოატაციაში შევიდა ახალი სამსართულიანი შენობა, რომელშიც ბინა დაიდო ფეხბურთის, ხელბურთისა და ჩოგბურთის კათედრამ, მძლეოსნობის მეთოდკაბინეტმა. ჩვენს ინსტიტუტს ერთი საცხოვრებელი კორპუსი გამოუყვეს ვაკის სტუდქალაქში. შენობა საკუთარი სახსრებით გავარემონტეთ. მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ამ სამუშაოების შემსრულებელი, საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ ნაგებობათა სარემონტო სამშენებლო სამმართველო (უფროსი — გიორგი ლომაია), რომელმაც საქმეს დროულად გაართვა თავი. სხვათა შორის, ეს სამმართველო აქტიურად ეხმარება ჩვენს ინსტიტუტს და დიდი წვლილი შეაქვს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში.

წელს მწყობრში ჩადგა ჩოგბურთის კორტები, სარეაბილიტაციო ცენტრი და სტუდენტთა სმეცნიერო ლაბორატორია.

ახლა ერთდროულად რამდენიმე მშენებლობა მიმდინარეობს. სტადიონს აშენებს საქართველოს სპორტსახკომის „სპორტრემმშენის“ ტრესტი. უნდა ითქვას, რომ მშენებლები აქ ნელი ტემპით მუშაობენ. უკვე ექვსი თვეა, რაც ინერტული მასალა შემოიტანეს, მაგრამ მის გასწორებას დღემდე ვერ დაუყენეს საშველი. თითქოს არაფერი უშლით ხელს, მაგრამ საქმე წინ არ მიდის. სანიჩბოსნო ბლოკის მშენებლობას ასევე „სპორტრემმშენის“ ტრესტი უძღვება. აქ მშენებლები სერიოზულად ეკიდებიან საქმეს. შენობას აღბათ წლეულს გადახურავენ, გაისად კი საექსპლოატაციოდ გადასცემენ. ბაკურიანში დაიწყო ინსტიტუტის ბაზის მშენებლობა. ახლა, როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობა სპორტის ზამთრის სახეობებს. კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად აუცილებელია ბაზა ისეთ ადგილას აშენდეს, სადაც შესაძლებელი იქნება სრულფასოვანი მეცადინეობების ჩატარება. ჩვენ და ფინანსთა სამინისტრო, რომელთან ერთადაც ვაშენებთ ამ ბაზას, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ აღნიშნული ობიექტი რაც შეიძლება მალე ჩადგეს მწყობრში. სამწუხაროდ, მშენებლობა, რომელსაც „საქკურორტმშენის“ ტრესტი (ტრესტის მმართველი ოთარ ჭყონია) ხელმძღვანელობს, ძალზე გაჭიანურდა. წლეულს მშენებლებს ერთი კორპუსი მაინც უნდა ჩაებარებინათ, მაგრამ ჯერჯერობით ამასაც ვერ ახერხებენ. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ საცურაო აუზის რეკონსტრუქციას, რადგან სწორედ აქ უნდა აღიზარდონ ცურვის მომავალი სპეციალისტები, სტუდენტებმა სწორედ აქ უნდა მიიღონ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა. აქ სამუშაოებს აწარმოებს აგრომშენის №1 ტრესტის მოძრავ-მექანიზებული კოლონა №44 (ტრესტის მმართველი არკადი მონიავა, კოლონის უფროსი მიხეილ კიკალიშვილი). მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია სადირექტივო ორგანოების ერთობლივი დადგენილება, რაც რესპუბლიკაში ცურვის შემდგომ განვითარებას ითვალისწინებს, ხოლო ეს ობიექტი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტთა სიაში მოხვდა. აქ უკვე ექვსი თვეა თითქმის არაფერი გაკეთებულა. განსაკუთრებით ბაკურიანის ბაზისა და საცურაო აუზის მშენებლობათა დაბალი ტემპი გვაღელვებს.

რაც შეეხება საშეფო მშენებლობებს, დიდი დახმარება გაგვიწიეს გამოფენა „მანქანები და წვენები-85“-ის ორგანიზატორებმა, მთელი რიგი სამუშაოები მათ შეასრულეს.

საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმია“ (გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ცხაკაია) უსასყიდლოდ გვიშენებს ხელბურთის მოედანს. ნიკოლოზ ცხაკაია ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარეა, მაგრამ იგი მარტო ხელბურთით არ იფარგლება და სადაც ხელი მიუწვდება, სხვა სახის სპორტული ობიექტების აგებაშიც ეხმარება ცალკეულ ორგანიზაციებს. ამით იგი საშვილიშვილო საქმეს აკეთებს და დიდ მადლობასაც იმსახურებს. კარგი იქნება მის მაგალითს სხვა მსხვილი ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც თუ მიბაძავენ.

ჩვენ გვაქვს კაპიტალური მშენებლობისა და ინსტიტუტის ობიექტების რეკონსტრუქციის პერსპექტიული გეგმა 1990 წლამდე. ეს გეგმა ძირითადად ითვალისწინებს იმ ობიექტების მშენებლობას, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ.

მომდინარე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს უნივერსალური სამდარბაზიანი კომპლექსის მშენებლობა. ეს ბაზა გათვალისწინებულია სპორტული თამაშებისათვის. ამავე ხუთწლედში დაიწყება 500 სტუდენტზე გათვალისწინებული საერთო საცხოვრებლის მშენებლობა დიდ დიღომში.

საუბარი ჩაიწერა
ზურაბ ფოცხვერიამ.

წყალტუბოელთა ერთწლიანი ბრძოლა

ამერიკელ გიმნასტთა ყირიმის ოლქის პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ღია პირველობა მოსწავლე მოჭადრაკეთა შორის. შეჯიბრება, რომელშიც 14 გუნდმა მიიღო მონაწილეობა, შვეიცარიული სისტემით, შვიდ ტურად ჩატარდა. ყველას აჯობეს და ყირიმის ოლქის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს წყალტუბოელმა მოზარდებმა (28 შესაძლებლიდან 22,5 ქულა; +6—0=1).

წყალტუბოელი მოჭადრაკეები: ოსტატობის კანდიდატები იმედა სულაბერიძე, ბადრი ონიანი, ზაზა კუპავა, ირმა თუთბერიძე ამ შეჯიბრებისთვის მოამზადეს ოსტატმა ჯემალ ბერაძემ და საჭადრაკო კლუბის გამგემ ნათელა თუთბერიძემ.

ხ. ნიქაბაძე,
წყალტუბოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

მოკლედ

„სტუდენტური რთველი-86“ გრძელდება. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის 150 სტუდენტი საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის მევენახეების გვერდით შრომობს. ყოველდღიურად ისინი 40-45 ტონა ყურძენს კრეფენ, რაც დიდად აღემატება გეგმიურ დავალებას. რეკორდსმენია პედაგოგიური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, ლენინური სტიპენდიანტი, შაშო საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი ალექსანდრე ბერუაშვილი, 650 კილოგრამის ნაცვლად იგი დღეში 1200-1300 კილოგრამ მოსავალს იღებს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ **არაერთი სახელოვანი ფალავანი აღზრდილა, მაგრამ რიონისპირელ მოჭიდავეებს ვარჯიშისათვის საჭირო პირობები არასოდეს ჰქონიათ. ამჯერად მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა. ქალაქის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობის განკარგულებით მოჭიდავეებს გადაეცათ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომბლექსის დიდი დარბაზი, სადაც საფუძვლიანი კაპიტალური რემონტის ჩატარების შემდეგ შვიდი საჭიდაო ხალიჩა დაიგო.**

ახლახან სწორედ აქ, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის დარბაზში ჩატარდა საქართველოს თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც სპორტსაზოგადოებისა და უწყებების — „სპარტაკის“, „დინამოს“, „განთიადის“, „კოლმეურნის“, „ბურევესტნიკის“, „ზენიტის“, „ლოკომოტივისა“ და „შრომითი რეზერვების“ რვა გუნდი მონაწილეობდა.

ᲡᲐᲡᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘ ტურნირის შემდეგ ეს იყო ჩვენი კლასიკოსების პირველი შეჯიბრება, რომელსაც სპარტაკიადაზე განცდილი წარუმატებლობის შემდეგ ამ სახეობის საღდეისო რეზერვები და პერსპექტივები უნდა გამოეკვეთა. მალე, 10-12 ოქტომბერს უზბეკეთში ჩატარდება სსრ კავშირის თასის გათამაშება, სადაც საქართველოს ნაკრებს ბევრი პრობლემები ექნება გადასაწყვეტი, თუმცა ამაზე ქვემოთ...



პრობლემები და იმედები

საქართველოს თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკური თასის გათამაშებაში სხვადასხვა მიზეზების გამო ათმა წამყვანმა მოჭიდავემ ვერ მიიღო მონაწილეობა: თ. აფხაზავა, თ. თევდორაძე, ვ. ონიანი, ზ. ივანიშვილი, გ. გედეხაური, ჯ. ბაკურაძე და კ. ონიგავა ალუშტაში იმყოფებოდნენ საკავშირო ნაკრების შეკრებაზე, ზ. სამხარაძე და ს. ერაძე დაშავებულები არიან, გ. კურდღელაშვილი კი სავალდებულო სამხედრო სამსახურში იმყოფება. როგორც ჩანს, შეჯიბრების მონაწილეთა უმრავლესობა სათანადოდ ვერ მოემზადა ამ ტურნირისათვის. ერთი სიტყვით, საქართველოს კლასიკოსთა გუნდს ალბათ გაუჭირდება დაკარგული პოზიციების დაბრუნება, მაგრამ იმედი მაინც არ უნდა დავკარგოთ, რადგან თასის გათამაშებამ რამდენიმე ახალგაზრდა, პერსპექტიული მოჭიდავე გამოავლინა, საქართველოს ნაკრებს განსაკუთრებით მსუბუქ წონებში უჭირს. სწორედ ამ წონით კატეგორიებში გამოიჩინეს თავი და გაიმარჯვეს ნიჭიერმა მოჭიდავეებმა გ. ივანიშვილმა (48 კგ) და მ. ბაბლუანმა (52 კგ), რომელთაც იმედის თვალით შესცქერიან ნაკრების მწვრთნელები. კარგი შეფასება დაიმსახურეს აგრეთვე გ. კოღუაშვილმა, მ. მიქაძემ, გ. პაპაშვილმა და ვ. ჩაჩუამ, მაგრამ, დაგვეთანხმებით, რამდენიმე იმედისმომცემი ნიჭიერი ახალგაზრდის შემყურე (მათ ხომ გამოცდილება აკლიათ) დიდ მიზნებს ვერ დავასახავთ. ან რა მიზნებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა წლიდან-წლამდე სხვადასხვა რანგის რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ერთი და იმავე ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენებს ვხვდებით. სამწუხაროდ, ამ შეჯიბრებაზეც ასე მოხდა. ნათელი გახდა ისიც, რომ პოზიციები დამთმეს აჭარისა და აფხაზეთის მოჭიდავეებმა.

საქართველოს თასისათვის რვავე გუნდმა დიდი მონდომებით იბრძოლა. საბოლოოდ 91 ქულით პირველი ადგილი და თასი დინამოელებმა მოიპოვეს. ამ საზოგადოების ღირსებას იცავდნენ: ვ. ხეჩინოვი (52 კგ), ბ. ჩაკვეტაძე, ა. ჯანგავაძე (ორივე — 57 კგ). მ. კოპალიანი (62), მ. მიქაძე (68), გ. ჩაკვეტაძე (74), გ. კოღუაშვილი (82 კგ; ყველანი — ქუთაისი), ა. ანდღულაძე (90), შ. ჩიქვილაძე (100) და ი. ისაკაძე (130; სამივე — თბილისი).

კარგად იასპარეზეს „კოლმეურნის“ გუნდის წევრებმაც. ისინი მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩნენ გამარჯვებულ კოლექტივს, III-IV ადგილები თანაბარი ქულებით გაიყვეს „ზენიტისა“ და „განთიადის“ გუნდებმა, მაგრამ მესამე ადგილი მიეკუთვნათ ზენიტელებს, რომელთაც 48 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი ჰყავდათ. თავის შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად იასპარეზა „სპარტაკმა“, რომელმაც მხოლოდ 25 ქულა მოაგროვა და ბოლო ადგილი დაიკავა.

ახლა კი სიტყვას ვაძლევთ საქართველოს კლასიკოსთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს თემო ყაზარაშვილს:

— IX სპარტაკიადამ ბევრი საფიქრალი და საზრუნავი გაგვიჩინა. ამ შეჯიბრებას ყურადღებით ვადევნებდი თვალს, მინდოდა კიდევ ერთხელ დამენახა ჩვენი სუსტი მხარეები. დიახ, მდგომარეობა მეტად სერიოზულია და დამაფიქრებელია. ქართული კლასიკური ჭიდაობა, სამწუხაროდ, ჰკარგავს ლაზათს, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ მოჭიდავეთა უმრავლესობა ვერ ფლობს ილეთებს, სუსტია როგორც ტექნიკურად, ისე ფიზიკურად. ყველაზე დამაფიქრებელი ის არის, რომ კლასიკური ჭიდაობის გავრცელების არეალი თანდათან მცირდება, პრიზიორთა თუ მონაწილეთა შორის ვერ ვხედავთ მოჭიდავეებს აჭარიდან, აფხაზეთიდან, ჭიათურიდან, მახარაძიდან, დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდან, კახეთის ზონიდან. ამიტომ უჭირთ საზოგადოებებს გუნდების დაკომპლექტება. მათ ხშირად ხვეწნა-მუდარით მოჰყავთ ძველი სპორტსმენები, რომლებმაც კარგახანია მიატოვეს აქტიური სპორტი და, ბუნებრივია, არც ვარჯიშობენ, გაგიკვირდებათ, მაგრამ ხშირად სწორედ ისინი ჯანმაინ ახალგაზრდებს. ძველები უკეთესადაც ჭიდაობენ და გამძლეობითაც და ილეთების ცოდნითაც ჯობნიან ახალგაზრდებს. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია: ნათელია, რომ სპორტსმენთა აღზრდაზე არ ვზრუნავთ, აქვე ვიტყვი, რომ ჩვენი მოჭიდავეები იშვიათად გამოდიან შეჯიბრებებში, სხვადასხვა ტურნირებში, არადა მოჭიდავეები სწორედ შეჯიბრებებზე ხვეწენ ოსტატობას.

რესპუბლიკის ნაკრები ქუთაისში ნაჩვენები შედეგებით დავაკომპლექტეთ. მალე შეკრებასაც გავმართავთ, საკავშირო თასის გათამაშებისათვის მოვემზადებით. ჩვენი მიზანია ტაშკენტში სპარტაკიადაზე უკეთ გამოვიდეთ. ამჯერად ჩვენ პირველ ლიგაში სხვა 5 გუნდთან ერთად ვასპარეზობთ. ეს ჩვენ არ შეგვეფერება, ამიტომ პირველი ადგილისთვის ვიბრძოლებთ, რათა მომავალ წელს უმაღლეს ლიგაში დავბრუნდეთ. თუმცა, ბრძოლა ალბათ გაგიჭირდება, რადგან ჩვენი ძირითადი მეტოქეები უზბეკეთისა და აზერბაიჯანის მოჭიდავეები იქნებიან, თანაც, საკავშირო თასის გათამაშებაში ალბათ მონაწილეობას ვერ მიიღებენ თ. აფხაზავა, თ. თევდორაძე და გ. გედეხაური. ისინი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადებიან.

ერთი სიტყვით, ჯერჯერობით გასაჭირში ვართ, მაგრამ წარმატების იმედს მაინც არ ვკარგავთ, ამას გვავალებს ქართული კლასიკური ჭიდაობის ტრადიციები...

დასასრულს მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო მასპინძლებს, შეჯიბრების ორგანიზატორებს, რომლებმაც ტურნირი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარეს და მოჭიდავეებს, მწვრთნელებს, მსაჯებს კარგი პირობები შეუქმნეს.

თამაზ ხარაბაძე,
(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).

ქუთაისი.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ:

ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ: 1. „დინამო“ — 91 ქულა, 2. „კოლმეურნე“ — 86, 3. „ზენიტი“ — 53, 4. „განთიადი“ — 53, 5. „შრომითი რეზერვები“ — 50, 6. „ლოკომოტივი“ — 35, 7. „ბურევესტნიკი“ — 33, 8. „სპარტაკი“ — 25.

ᲞᲘᲠᲐᲓᲘ. 48 კგ. 1. გიორგი ივანიშვილი (პროფკავშირები), 2. მალხაზ გოგოლაძე („განთიადი“), 3. გელა პაპაშვილი („ლოკომოტივი“ — სამივე — თბილისი).

52 კგ. მამუკა ბაბლუანი („შრომითი რეზერვები“, თბილისი), 2. გიგა ჯულაყაძე („განთიადი“, სამტრედია), 3. ვახტანგ ხეჩინოვი („დინამო“, ქუთაისი).

57 კგ. 1. აკაკი ჯანგავაძე („დინამო“, ქუთაისი), 2. აკაკი ჩაჩუა („განთიადი“, სამტრედია), 3. ზაზა ჩაკვეტაძე („დინამო“, ქუთაისი).

62 კგ. 1. მამუკა კოპალიანი („დინამო“, ქუთაისი), 2. რამაზ გუდაძე (პროფკავშირები, თბილისი), 3. ვეფხია გამრეკელაშვილი (პროფკავშირები, წულუკიძე).

68 კგ. 1. მამუკა გიგაური („კოლმეურნე“, მარტყოფი), 2. დავით ქარსელაძე („დინამო“, თბილისი), 3. მერაბ მიქაძე („დინამო“, ქუთაისი).

74 კგ. 1. პარმენ გოგბერაშვილი („კოლმეურნე“, თბილისი), 2. გიორგი ჩაკვეტაძე („დინამო“, ქუთაისი), 3. იმედა ხუჯაძე („სპარტაკი“, თბილისი).

82 კგ. 1. ბესარიონ აფციაური („დინამო“, თბილისი), 2. გიორგი კოღუაშვილი („დინამო“, ქუთაისი), 3. გიორგი მერაბიშვილი („კოლმეურნე“, თბილისი).

90 კგ. 1. უშანგი თევდორაძე („ბურევესტნიკი“, ქუთაისი), 2. ავთანდილ ანდღულაძე („დინამო“, თბილისი), 3. ფრიდონ გიორგაძე („სპარტაკი“, ქუთაისი).

100 კგ. 1. კობა კანდელაკი („კოლმეურნე“), 2. ზაქარია ჩიკვილაძე („დინამო“), 3. გოჩა მაისურაძე („შრომითი რეზერვები“, სამივე — თბილისი).

130 კგ. 1. ვახტანგ დონღუზაშვილი („კოლმეურნე“), 2. ვასილ ქარსელაძე (ასკ, ორივე — თბილისი), 3. დავით კუპრაძე („განთიადი“, რუსთავი).

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. უკვე ის პერიოდი დადგა, როცა გამოიკვეთა გათამაშების უმთავრესი ასპექტები, ცნობილი გახდა გუნდები, რომლებიც კონკრეტული ამოცანებისთვის უწევთ ბრძოლა.

განვლილ კვირას, 5 ოქტომბერს უმაღლეს ლიგაში გაიმართა რამდენიმე მატჩი სწორედ იმ გუნდების მონაწილეობით, რომლებსაც ეს ამოცანები აქვთ დასახული, მათგან ერთ-ერთი უმთავრესი შედგა კიევში ადგილობრივი და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის.

ერთ პერიოდში, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, კიეველთა პოტენციური მარაგი იმდენად მყარი იყო, რომ ამ გუნდის ჩემპიონობა ეჭვს არც იწვევდა, მით უმეტეს მას მერე, რაც კიეველებმა მეტად დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირები მოიგეს უცხოეთში. კიეველთა მეტად ძლიერი, სტაბილური შემადგენლობა, ტოლფასოვანი შემცვლელი ფეხბურთელების სიუხვე საფუძველს გვაძლევდა გვეფიქრა ოქროს მედლების მომავალ მფლობელთა თითქმის უეჭველ ადრესატზე, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, კიეველებმა მარცხიანად ჩაატარეს საკავშირო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი, მათი ფეხბურთელები, თითქოს, გადაღლილნი ჩანდნენ, გუნდს ხელახლა მოუხდა მთელი ძალების მობილიზება, რათა გათამაშების ფინიშზე კვლავ გაეძლიერებინა თამაში და ებრძოლა ჩემპიონის წოდებისთვის.

თბილისის დინამოელები, პირიქით, ჩემპიონატის დასაწყისსა და შუაგულში მეტად არასტაბილურად და, მთელ რიგ შემთხვევებში, ერთობ სუსტად თამაშობდნენ, გარკვეულ პერიოდში ჩვენს გუნდს მძიმე კრიზისის ნიშნები ეტყობოდა. მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, იმ უმძიმესი ჩავარდნების პერიოდმა განვლო და თბილისელებმა თანდათან შესამჩნევად, საგრძნობლად მოუმატეს თამაშს, ოპტიმალური ძირითადი შემადგენლობაც დადგინდა, თამაშსაც სტაბილური ფორმები მიეცა და 5 ოქტომბრის მატჩისთვის თბილისისა და კიევის დინამოელები უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილის უახლოესი მეზობლები აღმოჩნდნენ. ასეთ ვითარებაში კიეველებთან შეხვედრას მეტად პრინციპული მნიშვნელობა მიეცა. ჯერ ერთი, ამ მატჩის წარმატებით ჩატარება დიდ პერსპექტივებს უსახავდა ჩვენს გუნდს, საკუთარ ძალებში რწმენას მატებდა თვით ფეხბურთელებს, მათს გულშემატკივრებსაც, კიევიდან წამოღებული ქულები ის სტიმული იყო, რომელიც ესოდენ გვჭირდება ჩვენი გუნდის ოპტიმისტური მხარდაჭერისთვის.

არის კიდევ ერთი „მცირე“ ფაქტორი, რომელიც თბილისის „დინამოს“ ყველა გულშემატკივარმა კარგად იცის და რომელიც ეს უკვე საშ ათეულ წელიწადზე მეტია მოსვენებას არ გვაძლევს. თბილისს „დინამომ“ თავის თანაკლუბელებს კიევში უკანასკნელად მოუგო... 1953 წელს — 1:0 (ეს ბურთი მაშინ ა. ღოლობერიძემ გაიტანა კიეველთა კარში). მას შემდეგ კიევის „დინამო“ საბჭოთა ფეხბურთის აღიარებული და უპირველესი ფავორიტიც ყოფილა, უმძიმესი ჩავჯრდნების წლებიც ჰქონია, მაგრამ, არ იქნა და არა, თბილისელებმა კიევში ჩემპიონატის ვერც ერთი მატჩი ვეღარ მოუგეს მასპინძლებს.

და აი, 1986 წლის 5 ოქტომბერი, კიევი, თბილისის „დინამომ“, ბოლოსდაბოლოს, კიევში მოუგო ადგილობრივ დინამოელებს. ნავსი — ნავსად, ამ გამარჯვებამ კი, ჩვენი აზრით, დიდი ფსიქოლოგიური როლი უნდა ითამაშოს თბილისის „დინამოს“ წლევანდელ წარმატებაში, მით უფრო, რომ სადღეისოდ ჩვენმა გუნდმა მესამე ადგილზე ამოიწია გათამაშების ცხრილში.

ეს მატჩი მეტად პრესტიჟული იყო არა მარტო თბილისელების, არამედ კიეველთათვისაც. ისინი ამ დღეს ძირითადი შემადგენლობით თამაშობდნენ, ყველა წამყვანი მოთამაშე მწყობრში ჰყავდათ, თამაშის მსვლელობის დროსაც ძალები არ დაუზოგავთ გამარჯვების მისაღწევად. კიეველთა პოზიციები ამ თამაშში კიდევ უფრო განმტკიცდა მაშინ, როცა ზავაროვმა თამაშის დასაწყისში თავით გაიტანა ბურთი სტუმრების კარში — 1:0.

თითქოს, ყველაფერი ბოლო წლების დაუწერელი კანონის შესატყვისად უნდა წარმართულიყო, მაგრამ თბილისელებმა უკიდურესად დაძაბულ, მძაფრ ბრძოლაში არაფერი დაუთმეს მეტოქეს არც ერთ რგოლში, სათამაშო მინდვრის არც ერთ ნაწილში და ერთ-ერთ მომენტში, როცა ჩელებაძეს შორი მანძილიდან მოულოდნელად ძლიერად დაარტყა კარში, ვერც მცველებმა შეძლეს მისთვის ხელი შეეშალათ და ვერც მეკარე ჩანოვი მიწვდა ბურთს. ანგარიში გათანაბრდა—1:1.

გავიდა მცირე დრო, თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ცაავამ მინდვრის სიღრმიდან მიიღო ზუსტი გადაცემა და ასევე მოულოდნელად, ასევე ძლიერად დაარტყა შორი მანძილიდან. ცაავას ეს გოლი ტუუპის ცალივით ჰგავდა ჩელებაძისას, თბილისელები დაწინაურდნენ — 2:1.

კიეველებმა მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე სცადეს ინიციატივის ხელში აღება, ფართო ფრონტით შეუტიეს, მაგრამ სტუმრებს უკან არ დაუხევიათ, თბილისელთა მცველები მოქმედებდნენ შეთანხმებულად, ზუსტად, ორგანიზებულად, მეკარე ბალაძემ დარწმუნებით, საიმედოდ ითამაშა, ნახევარმცველები ბევრს მოძრაობდნენ და წარმატებით ასრულებდნენ მთავარ ამოცანას — არ მიეცათ კიეველთათვის უპირატესობის ხელში ჩაგდების საშუალება. მასპინძელთა ყოველ შეტევას წამსვე მოსდევდა საპასუხო კონტრშეტევა, თავდასხმის ხაზზე თავიანთ პოზიციებს არ ტოვებდნენ ცაავა, ჩელებაძე, რევიშვილი.

ერთ-ერთი ასეთი იერიშის დროს კიეველმა ბესონოვმა თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად წააკვლა ცაავა. მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი, თბილისელებმა დარტყმა ჩელებაძეს მიანდვეს, მანაც უშეცდომოდ გაგზავნა ბურთი მიზანში — 3:1.

ეს უკვე გამარჯვების განაცხადი იყო, რამდენსაც არ ეცადნენ მასპინძლები თბილისელთა დაცვის რიგების დაძლევას, ეს ვერ შეძლეს. სტუმრებმა დამსახურებული, უდავო გამარჯვება მოიპოვეს კიევის რესპუბლიკური სტადიონის მინდორზე.

გამარჯვება მუდამ სასიხარულოა! მაგრამ, ვიმეორებთ, თბილისის „დინამოს“ გამარჯვებას კიევში ახლა გარკვეული ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება, იმედია, ჩვენი გუნდი დარჩენილ მატჩებშიც ისეთივე სიძლიერით, ისეთივე მონდომებით ითამაშებს, როგორც 5 ოქტომბერს.

ამ მატჩში მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით იბრძოლეს: **კიევი — ჩანოვი, ბესონოვი, ბელანოვი, კუზნეცოვი, დემიანენკო, რაცი, იაკოვენკო, ბალი, ზავაროვი, ევტუშენკო, ბლოხინი (მიხაილიჩენკო); თბილისი — ბალაძე, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია (ცვეიბა), გოგრიჭიანი, კაკილაშვილი, ხვანაძე, ხულაქველიძე, ცაავა, ჩელებაძე, რევიშვილი. მსაჯი ი. ხავჩენკო (მოსკოვი).** გაიფრთხილეს სულაქველიძე. დუბლიორთა მატჩი მოიგეს კიეველებმა — 3:2.

ქუთაისის ტორპედოელები ამ ტურში მინსკში შეხვდნენ ადგილობრივ „დინამოს“. ქუთაისელები ურთულესი პრობლემების წინაშე იმყოფებოდნენ, ამ ძნელ მატჩში ტრავმების გამო მონაწილეობა ვერ მიიღეს მეგრელაძემ, ხაგბამ, ჟორჟიკაშვილმა, ვასაძემ, ბარათაშვილმა, აბუსერიძემ, ცხადია, განახევრებული ვერ ეთამაშა. ეს ბევრ ვერ შეძლებდა მთელ თავის შესაძლებლობათა გამოჩენას მეტოქესთან, მინსკის დინამოელები კი უეფა-ს მატჩზე უნგრეთის გუნდთან განცდილი მარცხის შემდეგ განსაკუთრებული მობილიზაციის განწყობილებით გამოვიდნენ თავიანთ მაყურებელთა წინაშე.

პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ ორივე გუნდის თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, მე-16 წუთზე კი მინსკელთა მარცხენა გარემარბმა კონდრატიევმა თავით გაგზავნა ბურთი ტორპედოელთა კარში—1:0.

38-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა: სტუმრების ერთ-ერთი იერიშის დროს დინამოელებმა უხეშად ითამაშეს კორღალიძის წინააღმდეგ, საჯარიმო დარტყმა თვით კორღალიძემ შეასრულა და ბურთიც გაიტანა — 1:1.

შესვენების შემდეგ, მე-60 წუთზე, მინსკელთა შეტევის დროს სტუმრების კართან შექმნილ არეულობაში კარგად ისარგებლა კურნენინმა და მეორე ბურთი გაიტანა ქუთაისელთა კარში.

დარჩენილი 30 წუთის მანძილზე მინდორზე მიმდინარეობდა შეუპოვარი ბრძოლა, ტორპედოელთა კონტრშეტევების დროს ბურთის გატანის შესაძლებლობა ჰქონდა შენგელიას, კორღალიძეს, პაპავას, რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობა ვერ გამოიყენეს მინსკელებმაც. საბოლოოდ მინსკის „დინამომ“ შეინარჩუნა ანგარიში 2:1 და გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

მეტოქეთა შემადგენლობანი: **„დინამო“ — ყეკიუ, ბოროვსკი, კურნენინი, იანუშევსკი, ტრუხანი (რუმბუტიხი), ზიგმანტოვიჩი, როდნენოკი (დერკაჩი), კისტენი, ალეინიკოვი, ხოკოლი, კონდრატიევი; „ტორპედო“ — მიქაძე, ფრუიძე, ჭელიძე, მალანია, თევზაძე, პაპავა, კორღალიძე, ხუნდაძე, ტყავაძე, მანაგაძე, შენგელია. მსაჯი ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი).** დუბლიორთა შეხვედრაც ასევე მინსკელთა გამარჯვებით დამთავრდა — 5:1.

5 ოქტომბერს ჩატარებული 25-ე ტურის შედეგები:

„დნეპრი“ — „ზენიტი“ 0:0
„ჩერნომორეცი“ — „ვალგირისი“ 0:2
„სპარტაკი“ — „ვანტიფორი“ 2:0
„ჟალირათი“ — „ნეფთჩი“ 3:1
„ტორპედო“ მ. — „არარატი“ 0:1 (ეს მატჩი გუშინ შედგა).

12 ოქტომბერს გაიმართება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის III ტურის მატჩები. თბილისის დინამოელები შინ მიიღებენ ერევნის „არარატს“, ხოლო ქუთაისის „ტორპედო“ ბაქოში შეხვდება „ნეფთჩის“.

17 ოქტომბერს შედგება საკავშირო ჩემპიონატის 26-ე ტურის მატჩები. თბილისის „დინამო“ მინსკში შეხვდება ადგილობრივ თანაკლუბელთა გუნდს, ქუთაისის ტორპედოელები კი კიევში ითამაშებენ „დინამოსთან“.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
1. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	25	11	7	7	41-19	29	(—21)
2. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	24	10	8	6	34-22	28	(—20)
3. „დინამო“ (თბილისი)	25	10	8	7	29-27	28	(—22)
4. „დინამო“ (მოსკოვი)	23	9	10	4	27-21	28	(—18)
5. „მარტიორი“ (დონეცკი)	25	9	9	7	35-27	27	(—23)
6. „დინამო“ (კიევი)	20	8	8	4	29-22	24	(—16)
7. „ვალგირისი“ (ვილნიუსი)	25	9	6	10	23-27	24	(—26)
8. „არარატი“ (ერევანი)	25	8	8	9	20-24	24	(—26)
9. „დინამო“ (მინსკი)	25	8	8	9	24-33	24	(—26)
10. „ნეფთჩი“ (ბაქო)	25	7	11	7	29-28	24	(—26)
11. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	25	7	10	8	31-31	24	(—26)
12. „ტორპედო“ (მოსკოვი)	26	7	11	8	25-26	24	(—28)
13. „ჟალირათი“ (ალმა-ათა)	25	8	7	10	23-33	23	(—27)
14. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	24	7	8	9	17-19	22	(—26)
15. „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	25	7	6	12	22-29	20	(—30)
16. „ტორპედო“ (ქუთაისი)	25	5	7	13	24-45	17	(—33)

ევროპის ჩემპიონატი

საფრანგეთის ნაკრები — ბრძოლა

11 ოქტომბერს პარიზის „პარკ დე პრენსის“ ცნობილ სტადიონზე შედგება ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საფრანგეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა საერთაშორისო საფეხბურთო წრეების დიდ ინტერესს იწვევს, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშების პირველ ეტაპზე საფრანგეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელებმა ერთმანეთთან ფრედ ითამაშეს — 1:1.

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ანრი მიშელმა დაასახელა ნაკრების ფეხბურთელები, რომლებიც ემზადებიან საბჭოთა გუნდთან შესახვედრად:

მეკარეები — ბატსი, მარტინი;
მცველები — ამორო, აიაში, ბატისტონი, ბოლი, დომერი; **ნახევარმცველები** — ფერნანდესი, ფერერი, პლატინი, პულენი, ტიგანა, ვერეკრუისი; **თავდამსხმელები** — ბელონი, პაპენი, სტოპირა.

გუნდის შემადგენლობაში მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, ოღონდ ნახევარდაცვაში ვერ ითამაშებს ჟენგინი, მას ახლა ტრავმა აქვს.

ა. მიშელმა ტრადიციული პრესკონფერენცია გამართა კორესპონდენტებთან. მწვრთნელმა განაცხადა, რომ თავის მოთამაშეებს კონკრეტულ და კატეგორიულ მიზანს დაუსახავს, მათ მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლონ, ვინაიდან საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდების შეხვედრები მუდამ დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს, საბჭოთა ნაკრები გამოირჩევა დიდი შეუპოვრობით, ფეხბურთელები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული, ამ გუნდს, საერთოდ, მაღალი პოტენციალი გააჩნია. ფრანგმა მწვრთნელმა საბჭოთა ფეხბურთელთაგან განსაკუთრებით გამოჰყო დასაევი, დემიანენკო, ბელანოვი, ზავაროვი და ალეინიკოვი, საკუთარი გუნდის შესახებ კი ისა თქვა, რომ იგი ამჟამად ჯერჯერობით ვერაა კარგ სპორტულ ფორმაში და ფორსირებულ მზადებას საჭიროებს, ფრანგებმა წარუმატებლად ითამაშეს ამხანაგურ მატჩში შვეიცარიის ნაკრებთან, ასევე უფერულად ჩაატარეს ოფიციალური შესარჩევი მატჩი ისლანდიის ნაკრებთან.

— ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ, — აღნიშნა ა. მიშელმა, — დავიგიწყოთ, რომ ევროპის ჩემპიონები და მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორები ვართ. საჭიროა თავგამოდებული ბრძოლა, მით უმეტეს, რომ მესამე შესარჩევ ჯგუფში არიან გამარჯვების რეალური პრეტენდენტები საფრანგეთის, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რეპუბლიკის გუნდები, ამავე დროს ანგარიში უნდა გავუწიოთ აუტსაიდერებსაც, ვინაიდან ისლანდიელებმა განვლილ ორ მატჩში საკმაოდ კარგი მომზადება გამოავლინეს, ასევე ძლიერად თამაშობენ ნორვეგიელი ფეხბურთელებიც.

ფეხბურთი

I ლიგა

5 ოქტომბერს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 39-ე ტურის მატჩები.

„ბურია“ (ლანჩხუთი) — ახალ „კარპატი“ (ლვოვი) 3:1 (1:0)

ლანჩხუთი. „ბურიის“ სტადიონი. 5 ოქტომბერი.

„ბურია“: მჭედლიძე, კონდრატიევი, დანელია, ე. თევზაძე, მელიქია (შვეცოვი), ებანოიძე, კოპალეიშვილი, გილიგაშვილი, მ. თევზაძე, ფრიდონიშვილი, აკოფიანი (ჩხაიძე).

ახალ „კარპატი“: რახულოვი, გამალიი, კოგუტი, ბუნიაკი, პახენიკი, ხივერინი, რაფალუკი, ტიშჩენკო (ბონდარჩუკი), კუხლევსკი, ლენდელი, მალიშენკო.

მსაჯი ე. იურიევი (ტომსკი).

მეტად პრინციპული მატჩი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა I ლიგის საკავშირო გათამაშების ლიდერთა ჯგუფის გუნდებისთვის, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, სრულიადაც სხვა „სცენარით“ წარიმართა. ამ დღეს ლანჩხუთში დილიდანვე გადაუღებლად წვიმდა, მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან კარგად აუღეს ალღო დამძიმებულ მინდორს, დიდი მონდომებით, სრული ენერგიით ითამაშეს თავიანთი ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტის წინააღმდეგ, ლვოველებმა კი ვერ გაუძლეს მასპინძელთა ტემპს და თამაში თავიდანვე, არსებითად, ცალ კარში, სტუმართა მხარეს წარიმართა. მართალია, პირველ ტაიმში „გურიამ“ სულ ერთხელ მიაღწია წარმატებას და ისიც მხოლოდ 42-ე წუთზე, როცა მელიქიას ძლიერი დარტყმა ჯერ ძელს მოხვდა, შემდეგ ლვოველთა მცველ სივერინს და კარში აღმოჩნდა, მაგრამ ბევრ სხვა შემთხვევაში მასპინძლებს ადრევე შეეძლოთ განემტკიცებინათ თავიანთი დიდი უპირატესობა.

ლანჩხუთელები შესვენების შემდეგაც განუწყვეტლივ უტევდნენ, სტუმრების მეკარე რასულოვი, მცველები და ნახევარმცველები მძიმე სამუშაოთი იყვნენ დაკავებული, ლანჩხუთელთა შეტევები კი სულ ახალი სიმძლავრით ხორციელდებოდა. 54-ე წუთზე მ. თევზაძემ საუკეთესოდ ითამაშა და მეორედ აიძულა რასულოვი ბადიდან გამოეტანა ბურთი, ხოლო 67-ე წუთზე კოპალეიშვილის მოულოდნელი, სწრაფი რეიდი ასკ „კარპატის“ კარში გატანილი მესამე გოლით დამთავრდა.

მთელი თამაშის განმავლობაში წარმოებულმა შეტევებმა, თამაშის ძმიმე პირობებმა, ეტყობა, მაინც იჩინა თავი თამაშის დასასრულს და 85-ე წუთზე კუხლევსკის საშუალება მიეცა ერთი საპასუხო ბურთი გაეტანა მასპინძელთა კარში.

ლანჩხუთის „გურიის“ კოლექტივის თითოეული წევრი ქების ღირსია, ჩვენი გუნდი წარმატებით ართმევს თავს I ლიგის საკავშირო გათამაშების სიძნელეებს და წარმატებით იბრძვის უმაღლესი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად. დარჩენილ შეხვედრებში ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა კვლავ მაქსიმალური ენერგიით უნდა იბრძოლონ და მიაღწიონ მეტად რთულ და საპატიო მიზანს: უმაღლეს ლიგაში მონაწილეობას.

ავთანდილ ორმოცაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

5 ოქტომბერს ლიგაში შედგა რამდენიმე მატჩი, რომლებსაც ახლა, გათამაშების ფინიშზე დიდი მნიშვნელობა აქვს ლიდერთა შორის ადგილის საბოლოო განაწილებისთვის. მათგან უმთავრესი იყო ლანჩხუთელთა შეხვედრა ლვოვის ძლიერ გუნდთან, რომელმაც წარმატება ჩვენს ფეხბურთელებს მოუტანა, მაგრამ ამავე დღეს თამაშობდნენ ლიდერთა ჯგუფის სხვა წარმომადგენლებიც, კერძოდ, ცსკა და დუშანბეს „პამირი“. თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1. ლიგის ლიდერი — რიგის „დაუგავა“ როსტოვში შეხვდა ადგილობრივ „როსტსელმაშს“ და დამარცხდა — 0:1. ვოლგოგრადის „როტორმა“ თავის მინდორზე წააგო შეხვედრა — 3:1 ტაშკენტის „ფახთაქორთან“.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კუზბასი“ (კემეროვო) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:0, ასკ (ხაბაროვსკი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:0, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 3:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ატლანტასი“ (კლაიპედა) 2:1, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — ასკ (დონის როსტოვი) 2:2.

ბათუმის დინამოელებმა ამ ტურშიც წარმატებით ითამაშეს. იხინი იარსხლავლაზე შეხვდნენ „შინიკს“ და ფრედ დაამთავრეს მატჩი—1:1.

მომდევნო, მე-40 ტურში, რომელიც ხვალ გაიმართება, ლანჩხუთის „გურია“ თავის მინდორზე მიიღებს კიშინიოვის „ნისტრუს“, ხოლო ბათუმის დინამოელები სმოლენსკში შეხვდებიან „ისკრას“.

ფეხბურთი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა“	37	22	9	6	70-37	53
ცსკა	38	20	8	10	52-33	48
„გურია“	37	21	5	11	58-53	47
„როტორი“	37	20	4	13	62-45	44
„პამირი“	37	17	10	10	59-35	44
ასკ „კარ.“	38	17	10	11	56-43	44
„ლოკომ.“	37	16	11	10	48-35	43
„დინამო“ ბ.	37	17	7	13	40-46	41
„როსტსელ.“	37	15	10	12	66-54	40
„შინიკი“	38	14	13	11	35-30	40
ასკ რ.	37	15	9	13	49-38	39
„კოლოსი“	37	14	11	12	36-37	39
„ფაკელი“	37	15	7	15	41-37	37
„მეტალურ.“	37	14	8	15	48-43	36
„ფახთაკ“	38	14	8	16	46-54	36
„სპარტაკი“	37	11	12	14	50-51	34
„დინ.“ სტ.	37	10	12	15	49-48	32
„ყუბანი“	37	10	13	14	31-37	32
„კუზბასი“	37	10	12	15	44-52	32
„ისკრა“	38	10	10	18	26-50	30
„კოტაიკი“	37	9	12	16	33-43	30
ასკ ხ.	37	9	11	17	39-51	29
„ატლანტასი“	37	7	10	20	31-59	24
„ნისტრუ“	38	5	8	25	25-84	18

სპარტაკიადა: ძიება, შენაძენი და დანაკარგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა IX საზაფხულო სპარტაკიადა — წლევანდელი ყველაზე დიდი მასშტაბის ასპარეზობა იყო, რომელიც ივნისში დაიწყო და სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა.

უნდა ითქვას, რომ წლევანდელ სპარტაკიადას ექსპერიმენტის სახე ჰქონდა და მისი მთავარი ამოცანა გახლდათ ჩვენი სპორტის რეზერვის დათვალიერება, ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის სპასუხისმგებლო სტარტებში თავის გამოჩენის შესაძლებლობის მიცემა. და მართლაც, ასპარეზობებზე ბევრი ტალანტი გამოვლინდა. მწვრთნელთა ძიებას სასურველი შედეგი მოჰყვა, ამავე დროს ნათელი მოეფინა ნაკლოვანებებს, შეცდომებს ნაკრები გუნდებისთვის რეზერვების მომზადების საქმეში.

წლევანდელი სასპარტაკიადო სტარტების ჩატარების, ჩათვლისა და სხვა სისტემების შემუშავებისას მთავარი ყურადღება მიექცა ჩვენი სპორტის ინტერესებს. სსრ კავშირის სპორტსახკომს სურდა რამდენადმე „შეეფუცხუნებინა“ სპორტული ორგანიზაციები, რომლებიც დიდად არ იწუხებდნენ თავს და არაფერს აკეთებდნენ მუშაობის გარდასაქმნელად, ვინაიდან ძირითადად უკვე აღიარებული სპორტსმენების იმედი ჰქონდათ. უფრო მეტიც, სარგებლობდნენ რა ჩათვლის სისტემით, მათთვის გასაოცრადაც არცთუ ცუდ პოზიციებს იკავებდნენ და ამიტომ, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. არც ისე იშვიათად ერთი გამარჯვებული ან პრიზიორი „ფარავდა“ მუშაობაში არსებულ სერიოზულ ჩავარდნას. ახლა კი საჭირო გახდა გამოუცდელთა მომზადება.

ყველა ოლიმპიური სახეობის გარდა სპარტაკიადის პროგრამაში პირველად შეიტანეს აკრობატიკა, ბადმინტონი, წყლის თხილამურები, ბატუტზე ხტომა და უსამართლოდ „შივიწყებული“ რიკობა. ტურნირი სპორტის ამ სახეობაში წარმატებით ჩატარდა, დიდი ინტერესი გამოიწვია და იმედია ამიერიდან ყურადღებასაც მიიქცევს: აღარ იტყვიან, ოლიმპიური სახეობა არ არის, ჩათვლას არ იძლევა, ამიტომ საჭიროც არ არისო. აქვე უნდა ითქვას, რომ კარგი იქნება თუ სსრ კავშირის სპორტსახკომი იზრუნებს სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებისთვის. ასეა, თუ შენსას არ სცემ პატივს, ვერც სხვისას დააფასებ.

წლევანდელ სპარტაკიადაზე დამყარდა 4 მსოფლიო რეკორდი, 11 — საკავშირო, 53 — სპარტაკიადის უმაღლესი მიღწევა, მოკავშირე რესპუბლიკების 142 რეკორდი, 231 სპორტსმენმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, მათგან 69 — პირველად. სპარტაკიადას ემსახურებოდა სხვადასხვა კატეგორიის 2397 არბიტრი, მათ შორის 38 საერთაშორისო და 987 საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სპარტაკიადის გმირებად შეიძლება ჩავთვალოთ ველოსიპედისტი ვიაჩესლავ ეკიმოვი, რომელმაც ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა; სპარტაკიადის „აღმოჩენად“ — 18 წლის აშხაბადელი ვლადიმერ სულთანოვი, რიგელი ულდის ბრემანსი. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ტანმოვარჯიშეებმა მოსკოველმა ელენა შევჩენკომ და ალმაათელმა ვალერი ლიუკინმა.

კალათბურთელთა ტურნირმა აზარტულ, მწვავე ბრძოლაში ჩაიარა, მაგრამ სერიოზული ხარვეზებიც გამოავლინა სპორტსმენთა ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებაში. დიახ, სპარტაკიადამ ნათლად დაგვანახვა ის ნაკლოვანებანი, რამაც ჩვენი გუნდების წარუმატებლობა გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონატებში.

მსოფლიო სარბიელზე ჩვენი მოცურავეების ქრონიკულ წარუმატებლობასაც აქვს თავისი მიზეზი — სუსტად მუშაობენ ნორჩებთან, ამეცადინებენ ბევრს, მაგრამ უხარისხოდ. ადრე ცნობილი მოცურავეების რეკორდები და მედლები ფარავდა დანარჩენთა უნიათობას. ამ სპარტაკიადამ კი სრულად გააშიშვლა ეს შენიღბული ადგილები.

სასპარტაკიადო შეჯიბრებებმა სხვა ნაკლოვანებებიც გამოავლინა. აფროსნობაში შეუძლებელია სრულფასოვანი კონკურენცია იმის გამო, რომ გუნდებს არა აქვთ ერთნაირად სრულფასოვანი იახტები და იალქნები. აღმოჩნდა, რომ აფროსნობის ფედერაციას თავის დროზე სწორი გადაწყვეტილება მიუღია იახტების ეროვნული სახეობების განვითარების აუცილებლობის შესახებ, რის საფუძველზეც სპორტსმენებს თანაბარ პირობებში ასპარეზობის საშუალება ექნებოდათ.

შეიძლებოდა უფრო საინტერესო ყოფილიყო სასპარტაკიადო სტარტები? ალბათ შეიძლებოდა. ყველაზე მეტი საყვედური გამოიწვია სპარტაკიადის დებულების ერთერთმა პუნქტმა ასაკობრივი „ცენზის“ თაობაზე — სპორტის ბევრ სახეობაში მონაწილეთა ასაკი 23 წელს არ აღემატებოდა, ზოგიერთში კი უფრო ნაკლებიც იყო. მართლაცდა, არ შეიძლება ეს სწორ გადაწყვეტილებად ჩავთვალოთ. მოხდა ისე, რომ მსოფლიო რეკორდსმენი, პლანეტის უძლიერესი სპორტსმენი სპარტაკიადის ჯილდოს გარეშე დარჩა. არადა გამოსავალი შეიძლებოდა მოძებნილიყო — საკმარისი იყო ქვეყნის ნაკრების წევრებისთვისაც მიეცათ ასპარეზობის უფლება, როგორც ეს ზამთრის სპარტაკიადაზე მოხდა.

ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებს დიდ სარგებლობას მოუტანდა ორგზის მსოფლიო ჩემპიონის იური კოროლიოვის გვერდით გამოსვლა, რომლის ასაკი ერთი წლით აღემატებოდა დადგენილ ზღვარს.

სპარტაკიადის დებულების შემუშავებისას ანგარიში უნდა გაეწიათ შესაბამისი ფედერაციების მიერ წამოყენებული წინადადებებისთვის. სსრ კავშირის სპორტსახკომის ხელმძღვანელები ხშირად გაიძახიან, მეტი უფლებები ფედერაციებსო, მაგრამ სინამდვილეში ის შტატიანი მუშაკები, რომელთა ხელშიცაა ძალაუფლება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს შემწყნარებლური ღიმილით ხვდებიან, ფიქრობენ, რომ ამ გადაწყვეტილებებთან ან რეკომენდაციებთან მათ არაფერი ესაქმებათ.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ისტორიაში იყო დრო, როცა შეჯიბრებები ეწყობოდა არა მოსკოვში, არამედ სხვადასხვა ქალაქებში და წარმატებითაც. ეს ხელს უწყობდა სპორტის აღმავლობას ადგილებზე. მიღებული იქნა გადაწყვეტილება ამ სქემას დაბრუნებოდნენ, მაგრამ ფინალური შეჯიბრებები სპორტის ბევრ სახეობაში მაინც მოსკოვში ჩატარდა, თანაც ცივ, წვიმიან ამინდში, ცარიელი ტრიბუნების წინ. შეჯიბრებებს ისევ სპორტსმენები ესწრებოდნენ. იქნებ იმიტომაც, რომ მოსმოსკოველები განებივრებული არიან დიდი შეჯიბრებებით — წლეულს ზაფხულში აქ გაიმართა „კეთილი ნების თამაშები“, რომელშიც მსოფლიო კლასის „ვარსკვლავები“ მონაწილეობდნენ.

რატომ არ დადის მაყურებელი შეჯიბრებებზე? (ეს ეხება არა მარტო მოსკოველებს) ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ სარბიელზე არ გამოდიან უძლიერესი სპორტსმენები, არ იმართება მწვავე ბრძოლა, ცუდად მუშაობენ სპორტის პროპაგანდისტები.

სპარტაკიადა იქცეოდა მწვრთნელთა გამოცდილების გაზიარების ერთგვარ სკოლად, მის ორგანიზატორებს უკეთ რომ გამოეყენებინათ მათ ხელთ არსებული შესაძლებლობა. სპორტის ზოგიერთ სახეობაში, მართალია, სპეციალური სემინარები მოეწყო, მაგრამ ბევრგან მხოლოდ ეგრეთ წოდებული თათბირებით შემოიფარგლნენ, რომლებზეც ამა თუ იმ განყოფილების ხელმძღვანელები, უფროსი მწვრთნელები ტყუილუბრალო მითითებებს აძლევდნენ თავიანთ კოლეგებს.

სამწუხაროდ, არ იყო ორგანიზებული „მრგვალი მაგიდები“, სადაც სპეციალისტები შეხვდებოდნენ პრესის წარმომადგენლებს. ბევრ გუნდის ხელმძღვანელს ჯერ კიდევ ეშინია მიკროფონის, თვითკრიტიკით პრესაში გამოსვლის. შეცდომებისაგან არავინ არის დაზღვეული, მაგრამ კარგ სპეციალისტს ამ შეცდომებისაგან სწორი დასკვნების გაკეთება უნდა შეეძლოს.

...სპარტაკიადა დასრულდა, მაგრამ მისი არსი სწორედ ის არის, რომ იგი გრძელდება... გრძელდება მასობრივი სტარტები — მილიონთა შეჯიბრებები.

საკდესი.

ინფორმაცია

ხელგურთი. სსრ კავშირის ჩემპიონმა, მინსკის არმიელთა გუნდმა გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩში ფინეთის ქალაქ კარისის კლუბ „ბოლდკლუბენ-46“-თან. მატჩის ანგარიშია 43:24 (20:10). აღსანიშნავია, რომ მინსკელთა ლიდერმა ალექსანდრე კარშაკევიჩმა 15-ჯერ აიღო მეტოქის კარი. შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრაში, რომელიც კარისში გაიმართა, წარმატებას აგრეთვე ბელორუსიელმა სპორტსმენებმა მიაღწიეს — 31:29.

რეგბი. **ქვეყნის თასის მფლობელმა მონონოს იური გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა (ვვს) ზედიზედ მესამედ (სულ კი — მეცხრედ!) მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის სატიტო წოდება. გასულ შაბათსა და კვირას მან კიევში ორჯერ სძლია ადგილობრივ „ავიატორს“ — 16:12 და 16:3. „აკადემიკოსთა“ მთავარმა მეტოქემ — მოსკოვის „სლავამ“ ორივე მატჩი წააგო სპორტკლუბ „ფილისთან“ — 3:14 და 7:9. ამრიგად, ჩემპიონმა 36 შეხვედრაში 96 ქულა მოაგროვა. „სლავას“ 87 ქულა აქვს. ბრინჯაოს მედლებზე პრეტენზიას აცხადებენ მოსკოვის „ფილი“ და „ლოკომოტივი“, ალმაათის ასკ, კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაუსტროი“.**

გოგსლეი. ისევე, როგორც გასულ წელს, საბჭოთა ბობსლეისტებმა სეზონი ლატვიის დედაქალაქში დაიწყეს: კვირას აქ დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება „ქარვის ბობი-86“. ოთხი რბოლის შემდეგ საუკეთესო შედეგი აჩვენეს ლატვიელებმა ზინტის ეკმანისმა და იურის ტონემ. მეორე და მესამე ადგილებზეც მასპინძლები არიან. შეჯიბრებაში გამოდიოდნენ, აგრეთვე, ბულგარეთის, რუმინეთისა და დასავლეთ გერმანიის ბობსლეისტები.

წყალგურთი. **რუმინეთის ქალაქ ორადეში გამართულ წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მატჩში მოსკოვის „დინამომ“ მოუგო შვეიცარიის „ლუგანოს“ — 32:8 (5:2, 1:0, 8:3, 9:3). წინასწარ შეხვედრაში ადგილობრივმა კლუბმა „კრიშულმა“ სძლია საფრანგეთის „მარსელს“ — 15:11. წრიული ტურნირის შედეგების მიხედვით შეჯიბრებას ორი უძლიერესი გუნდი გააგრძელებს.**

ჩოგბურთი. 4:1 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა დეივისის თასის გათამაშებაში. პირველი ორი დღის შემდეგ, როგორც ვიუწყებოდით, ანგარიში იყო 3:0 მასპინძელთა სასარგებლოდ. ამდენად, ბოლო ორი შეხვედრის შედეგს პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. რამეშ კრიშნანმა ანგარიშით 6:4, 6:4 დაამარცხა საბჭოთა ნაკრების ლიდერი, მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი. ერთადერთი ქულა სტუმრებს კალინინგრადელმა ალექსანდრ ვოლკოვმა შესძინა. მან ვასუდევანს სძლია — 3:6, 7:5, 6:2.

მოსკოველმა სვეტლანა პარხომენკომ და ლვოველმა ლარისა საჯრენკომ გაიმარჯვეს ახალ ორლეანში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში. კეთილი ნების თამაშების ჩემპიონებმა ფინალში დაამარცხეს ამერიკელთა დუეტი — კენდი რეინოლდსი და ენ სმიტი (6:3, 3:6, 6:3).

ძიუდო. საფრანგეთის ვაჟთა ნაკრებმა მოიგო ევროპის გუნდური პირველობა (ასპარეზობა ჩატარდა იუგოსლავიის ქალაქ ნოვი-სადში). ფრანგებმა ფინალში სძლიეს ავსტრიელ სპორტსმენებს — 6:1. საბჭოთა ათლეტები შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

„მერანი“ № 19

გამოვიდა გაზეთ „ლელოს“ საქადრაკო დამატება „მერანის“ მე-19 ნომერი.

ნომერში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მსოფლიო პირველობის მატჩებს. მ. ჩიბურდანიძე — ე. ახმილოვსკაიას მატჩს ეძღვნება „მერანის“ სპეციალური კორესპონდენტის წერილი „სოფიის მატჩის დასკვნითი აკორდი“ და საუბარი ბულგარეთის ჭადრაკის ფედერაციის პასუხისმგებელ მდივან ე. კაკამჯოზოვთან. აქვე მკითხველი გაეცნობა მატჩის პირველი ნახევრის ბოლო სამ (VI-VIII) პარტიას და ბულგარელი ფოტოჟურნალისტის დ. ალტენკოვის ფოტორეპორტაჟს, აგრეთვე გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანშის XVII-XX პარტიებს.

რუბრიკით „მოჭადრაკე დაბრუნდა შეჯიბრებიდან“ დაბეჭდილია საერთაშორისო ოსტატების ზურაბ აზმაიფარაშვილისა და ზურაბ სტურუას ნაამბობი ბულგარეთისა და მონღოლეთის საერთაშორისო ტურნირებში მათი მონაწილეობისა და გამარჯვების შესახებ.

მკითხველი უთუოდ ინტერესით ვაეცნობა ჟურნალისტ გიგლა გობეჩიას წერილს „როდის მიანიჭებენ დიდოსტატის წოდებას... მანქანას“.

ნომერში გთავაზობთ სხვა მასალებსაც რუბრიკით: „ახალი ამბები“, „სიბრძნის წყარო“, „ეს საინტერესოა“, „უცხოეთის პრესის ფურცლებზე“, „კომპოზიცია“, „იუმორი“.

სუპერთასს კალათბურთელებიც გაითამაშებენ

ფიბა-ს გადაწყვეტილებით, წლეულს პირველად გაიმართება სუპერთასის გათამაშება კალათბურთში. ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, ზაგრების „ციბონა“ (იუგოსლავია) შეხვდება თასების მფლობელთა თასის ტურნირში გამარჯვებულს — ესპანეთის „ბარსელონას“. პირველი მატჩი ჩატარდება 7 ოქტომბერს ზაგრებში, ხოლო სპასუხო შეხვედრა 14 ან 21 ოქტომბერს ბარსელონაში გაიმართება, აღსანიშნავია, რომ ახლახან ეს გუნდები ბარსელონაში ჩატარებულ ტურნირში შეხვდნენ ერთმანეთს. დაძაბულ ბრძოლაში, ანგარიშით 107:104 (46:56) გაიმარჯვა „ბარსელონამ“. მასპინძელთაგან საუკეთესოდ ითამაშეს ხმელნესმა და სიმპსონმა (22-22 ქულა), ბრაიანტმა (20) და სიბილიომ (14). მათ მეტოქეთაგან თავი გამოიჩინა დრაჟენ პეტროვიჩმა (33 ქულა).

ახალ სეზონში „ბარსელონაში“ რამდენიმე ცვლილება მოხდა. გუნდი დატოვეს ამერიკელებმა სმითმა და უელვერტონმა. ამ მოთამაშეთა ნაცვლად გუნდში მიიღეს მათი თანამემამულეები სიმპსონი და ბრაიანტი. ბადალონის „ხუვენტუდიდან“ „ბარსელონაში“ გადავიდა ესპანეთის ნაკრების წევრი ხიმენესი.

გარკვეული ცვლილებებია „ციბონაშიც“. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ჟელკო პავლიჩევიჩმა საზღვარგარეთის ერთ-ერთ გუნდთან დადო კონტრაქტი. „ციბონას“ მწვრთნელად დაინიშნა იანას დრვარიჩი. სამხედრო სამსახურიდან დაბრუნდა გამთამაშებელი ალექსანდრ პეტროვიჩი, კვლავ „ციბონაშია“ გამოცდილი კალათბურთელი ანდრო კნეგო, რომელიც ბოლო ხანს ესპანეთში თამაშობდა.

მერაბ კალანდაძე.

ფეხბურთის ამბები

დეკემბრის ბოლოსთვის გამოვა

როგორც ფიფა-ს სამდივნო იუწყება, დეკემბრის ბოლოს გამოვა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ მომზადებული წიგნი, მიძღვნილი მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატისადმი.

მარადონას ულტიმატუმი

დიეგო მარადონამ თავისებური ულტიმატუმი წაუყენა თავის კლუბ „ნაპოლის“ ხელმძღვანელობას. განთქმული ფეხბურთელი აცხადებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ გაგრძელებს ხელშეკრულებას ამ გუნდთან, თუ მის შემადგენლობაში უგო მარადონას არ მოიწვევენ. არმანდოს ომცროსი ძმა ახლა „არგენტინოს „ხუნიორსში“ გამოდის.

„სპორტლოტო“

გუშინინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-40 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-იდან: 2 (ბიატლონი), 4 (კრივი), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 44 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36“-იდან: 2 (ბიატლონი), 3 (ბობსლეი), 11 (ფრენბურთი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 28 (ტყვიის სროლა).

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 9 ოქტომბერს.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ნოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05842